სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 85100000 ჯანდაცვის სფეროში მომსახურებები.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 003

2016 წ. 14 იანვარი

ფეხბურთელთა ყოველწლიურ სავალდებულო შემოწმებაზე

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთის მხრივ, შ.პ.ს. "სითი სპორტის" (სამედიცინო- სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი) დირექტორი მაია აბაშიძის (შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული) და მეორეს მხრივ, საფეხბურთო კლუბი საპოვნელა მისი წარმომადგენელის დირექტორის გიორგი ლოლაძის სახით (შემდგომში "შემკვეთად" წოდებული) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს "შემკვეთი" კლუბის ფეხბურთელთა ყოველწლიურ ორჯერად აუცილებელ სამედიცინო შემოწმებას წინასწარ შეთანხმებული მოცულობით გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევის ჩათვლით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების და UEFA-ს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

1.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს "შემკვეთი" კლუბის ფეხბურთელთა სპორტული ტრავმების ამბულატორიულ მკურნალობას (ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი) კონსულტაციებს ცენტრის ექიმ სპეციალისტებთან.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას, "შემკვეთთან" წინასწარ შეთანხმებულ პერიოდში ჩაატაროს ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება კლუბის ექიმის მონაწილეობით, წინასწარ შეთანხმებული მოცულობით (მინიმალური და აუცილებელი სამედიცინო გამოკვლევების ჩამონათვალი დანართი 1.).

2.2 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას სრულად აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია და შექმნას მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა, სადაც სრულად იქნება ასახული ფეხბურთელთა სამედიცინო გამოკვლევის შედეგები, რომელიც წარედგინება გამოკვლევის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში.

2.3 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას ფეხბურთელთა სამედიცინო გამოკვლევის საბოლოო შედეგები გააფორმოს სამედიცინო დასკვნის სახით, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია სპორტცმენთა ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი სამედიცინო რეკომენდაციები წარუდგინოს "შემკვეთს".

2.4 "შემკვეთი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფეხბურთელთა ორგანიზებული მისვლა დაწესებულებაში წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით სამედიცინო შემოწმებისთვის.

დანართი 1. მინიმალური და აუცილებელი სამედიცინო გამოკვლევების ჩამონათვალი.

1. ფეხბურთელთა სამედიცინო ჩანაწერები
   ა. ფეხბურთელის ცხოვრების ანამნეზი
   ბ. ფეხბურთელის ავადობის ანამნეზი
   გ. ფეხბურთელის ობიექტური ჩივილები
   დ. ინფორმაცია მედიკამენტების და დანამატების შესახებ
   ე. ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ

2. ფეხბურთელის ზოგადი სამედიცინო გამოკვლევა

3. სპეციალური კარდიოლოგიური გამოკვლევა
   ა. თორმეტგანხრიანი ელექტროკარდიოგრაფია
   ბ. ექოკარდიოგრაფია

4. ლაბორატორიული გამოკვლევა
   ა. სისხლის საერთო ანალიზი
   ბ. შარდის საერთო ანალიზი

5. ორთოპედიული გამოკვლევა
   ა. ხერხემალი
   ბ. მხარი
   გ. მენჯი
   დ. მუხლი
   ე. ქვედა კიდური
   ფ. კოჭი და ტერფი

დანართი 2. სამედიცინო მომსახურების ტარიფები

1. ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება სფფ-ს (UEFA-ს) საკლუბო ლიცენზირების აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად – 35ლარი.

2.5 "შემკვეთი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფეხბურთელების მიერ ანაზღაურებული სამედიცინო შემოწმების ხარჯების აკუმულირება და შესაბამისად შემსრულებლისათვის გადახდა წინასწარ შეთანხმებული ტარიფების შესაბამისად (მომსახურების ტარიფები დანართი 2).

2.6 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით "შემკვეთი" ფეხბურთელებთან აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებას სამედიცინო შემოწმების წინამდებარე თანხის გადარიცხვის ანგარიშის წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

3. განსაკუთრებული პირობები

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.
3.2 თანხის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში "შემკვეთი" იხდის ჯარიმას, გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
3.3 მხარეთა შორის ყოველგვარი დავა ან უთანხმოება, რომელიც ვერ გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებით, გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან, ხოლო მესამე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.
3.5 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 14 იანვრიდან 2017 წლის 14 იანვრამდე.
3.6 ხელშეკრულებაში ყოველგვარი ცვლილებების შეტანა ხდება ორივე მხარის წერილობითი შეთანხმებით.

"შემსრულებელი"
შ.პ.ს. "სითი სპორტი"
ქ.თბილისი, ასათიანის 7-ა
ტ. 39-19-81, 31-11-26
საიდ. კოდი 205223818
საქართველოს ბანკი ც/ფ
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE 70BG 000 0000 218758800

დირექტორი
მაია აბაშიძე

"შემკვეთი"
საფეხბურთო კლუბი საპოვნელა
იურიდიული მისამართი:
საქართველო,ქ.თერჯოლა ქ. №11
ბანკი ——————————
საიდ. კოდი 431945853
ბანკის კოდი ——————————
ა/ა ——————————

დირექტორი

გიორგი ლოლაძე

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 15 იანვარი 2016წ

შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი, ერთის მხრივ საფეხბურთო კლუბი საპოვნელა, ს/ნ 431945853 (შემდგომში "დამკვეთი") მისი დირექტორის გიორგი ლოლაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "სითი სპორტი" ს/ნ 205223818 (შემდგომში შემსრულებელი") მისი დირექტორის მაია აბაშიძის სახით, რომ მხარეებმა შეასრულეს 2016 წლის 14 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, კერძოდ შ.პ.ს. "სითი სპორტი'-მ გაუწია საფეხბურთო კლუბი საპოვნელა-ს 19 ფეხბურთელს 665 (ექვსასამოცდახუთი) ლარის სამედიცინო მომსახურება.

დამკვეთი: შემსრულებელი:

(გიორგი ლოლაძე) (მაია აბაშიძე)